წლიური ანგარიში

2022

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

წლიური ანგარიში

2022

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნინო ჩიხლაძე, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

სათავო ოფისი
თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ელფოსტა: gyla@gyla.ge
ვებგვერდი: www,gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2022

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 4

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 8

ადამიანის უფლებები 9

- პროგრამის პრიორიტეტები 10
- თანასწორობის პოლიტიკა 10
- სოციალური პოლიტიკა 14
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 22
- გამოხატვის თავისუფლება 26
- სხვა აქტივობები 27

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 29

- პროგრამის პრიორიტეტები 30
- საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი 30
- მართლმსაჯულება 32
- საჯარო მმართველობა 35
- ადგილობრივი თვითმმართველობა 36
- არჩევნები 38
- ევროინტეგრაცია 40

სამართლებრივი დახმარება 43

- პროგრამის პრიორიტეტები 44
- იურიდიული დახმარება 44
- სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში 56
- სტრატეგიული სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში 62
- საერთაშორისო ადვოკატირება 68
- გამოცემები 71

ფინანსური ანგარიში 73

მისასალმებელი სიტყვა

ძვირფასო წევრებო,

კიდევ ერთხელ მოგესალმებით საიას თავმჯდომარის სტატუსით. გასული წელი განსაკუთრებული გამოწვევებით იყო სავსე არა მხოლოდ ორგანიზაციისთვის, არამედ, ასევე ქვეყნისა და მსოფლიოსთვის. საია, ტრადიციულად, აქტიურად იყო ჩართული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლაში.

პანდემიის შემდეგ მსოფლიო ახალი გამოწვევის - უკრაინაში რუსეთის ომის წინაშე აღმოჩნდა. თანამედროვე სამყაროს დემოკრატიული ნაწილი ერთად დადგა იმ აგრესიის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი საქართველო ჯერ კიდევ 2008 წელს გახდა. უკრაინაში დაწყებულმა ომმა, იმავდროულად, დააჩქარა ასოცირების ტრიოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი, რა დროსაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა საქართველოს მოსახლეობის ურყევი ევროპული მოსწრაფებები. თუმცა, ასევე ვიხილეთ ხელისუფლების ნაბიჯები, რომლებმაც ქვეყანა დემოკრატიის გზაზე უკან დახია.

სამწუხაროდ, ხელისუფლების ქმედებებისა და საგარეო პოლიტიკური განცხადებების გამო, საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მოიპოვა. თუმცა, ევროპულ პერსპექტივასთან ერთად, გადმოგვეცა 12-პუნქტიანი გეგმა, რომლის შესრულებამაც საბოლოოდ ამ სტატუსამდე უნდა მიგვიყვანოს. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ჯერ 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებაში, ხოლო შემდეგ ამ გეგმაში მოხვდა, საია აქტიურად ადვოკატირებდა, ესენია: პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება და დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესება, მართლმსაჯულებასა და საარჩევნო სისტემაში ფუნდამენტური რეფორმების გატარება, ძალაუფლების განაწილება, მოწყვლადი ჯგუფებისა და მედიის უფლებების დაცვა. რა თქმა უნდა, საია, როგორც მოცემულ საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, აქტიურად ჩაერთო ამ ისტორიულ პროცესში და, წერილობითი რეკომენდაციების წარდგენის გზით, ევროკავშირის მოთხოვნათა შესრულების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა. ახლა ჯერი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებზეა.

ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ცალკეული ინსტიტუტების ფუნდამენტური რეფორმირება. მიუხედავად, ამ მიმართულებით გატარებული ზოგიერთი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებისა, საკვანძო საკითხები კვლავ მოუწესრიგებელია. მართლმსაჯულების, საარჩევნო და ანტიკორუფციული სისტემების ძირეული გარდაქმნა, ძალაუფლების განაწილება, საპარლამენტო კონტროლისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება - ეს ის უმთავრესი სფე-

როებია, რომლებიც მოითხოვს სიღრმისეულ და არა ფასადურ რეფორმებს. მათი მოუგვარებლობა აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ წინსვლას. საია აქტიურად ადვოკატირებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

წელსაც პრობლემური იყო ვითარება მოწყვლადი ჯგუფებისა და მედიის უფლებების დაცვის მიმართულებით. ამას ისიც ამძაფრებს, რომ გასული წლის 5 ივლისის მოვლენები დღემდე სათანადოდ არ არის გამოძიებული, არ დასჯილან მასობრივი ძალადობის ორგანიზატორები, ხოლო სახელმწიფოს არ აუღია მასზე პასუხისმგებლობა. შესაბამისად, საია ამ საქმეებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კვლავ აწარმოებს. ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ ხელს უწყობდეს ქვეყანაში პლურალისტური მედიაგარემოს არსებობას, მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს კრიტიკული მედიასაშუალებების წინააღმდეგ იყენებს.

მძიმე მდგომარეობაა ქალებისა და ბავშვების უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიუხედავად, საერთაშორისო დონეზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და არასათანადო აღმასრულებელი ზომების გამო, კვლავაც მრავლადაა ძალადობისა და ფემიციდის შემთხვევები.

საიას სამართალწარმოების გუნდი წარმატებით განაგრძობს ბენეფიციართა უფლებების დაცვას როგორც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში, ისე საერთაშორისო ინსტანციებში. პანდემიის მილევის კვალდაკვალ, საშუალება მოგვეცა, ეტაპობრივად აღგვედგინა პირდაპირი ურთიერთობა ბენეფიციარებთან. შესაბამისად, კვლავ უამრავი ადამიანი იღებს მათთვის საჭირო იურიდიულ დახმარებას როგორც პირისპირ, ისე დისტანციური ფორმით. სამართალწარმოების გუნდის როლი განსაკუთრებულია ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი უფლებადარღვევების დროს ბენეფიციარებისთვის დახმარების პროცესში.

დარწმუნებული ვარ, სამოქალაქო საზოგადოების თავდაუზოგავი ბრძოლა შედეგს გამოიღებს, ქვეყანა დემოკრატიულ წინსვლას დაიწყებს და საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს.

და ბოლოს, დიდი მადლობა ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს გაწეული შრომისთვის. სწორედ მათზე დგას საიას წარმატებული საქმიანობა. მადლობას ვუხდი ასევე საიას გამგეობის წევრებს მათი წვლილისთვის და საიას წევრებს - თანადგომისთვის.

ორგანიზაციას და თითოეულ თქვენგანს წარმატებებს გისურვებთ!

პატივისცემით,

ნიკოლოზ სიმონიშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

2014 წელი
ზუგდიდი
1996 წელი
ქუთაისი
2001 წელი
ოზურგეთი
1995 წელი
ბათუმი

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საიას ოფისების დაარსების წლები:

- თბილისის ოფისი -1994 წელი
- აჭარის ფილიალი -1995 წელი
- რუსთავის ოფისი - 1995 წელი
- ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
- გორის ოფისი - 2000 წელი
- ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
- თელავის ოფისი - 2002 წელი
- დუშეთის ოფისი - 2002 წელი
- ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი



ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 400 წევრს აერთიანებს. საია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ თანდათან აფართოებს სამოქმედო არეალს. დღეისთვის ორგანიზაცია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერირებს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში.

ორგანიზაციის ზრდასთან ერთად წარმოიშვა სტრუქტურული ცვლილებების საჭიროება, რათა საიას საქმიანობის სტანდარტი შესაბამისობაში მოსულიყო დონორების ახალ მოთხოვნებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის (CSO) ეკოსისტემის ცვლილებებთან. 2016 წელს, საქართველოში USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების HICD 2020 პროექტის მხარდაჭერით, საიას საქმიანობა შეფასდა ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების კუთხით. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები და უკვე 2018 წლიდან დაიგეგმა რეფორმის ორი ფაზა. პირველი ფაზა მოიცავს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო მეორე – საკადრო პოლიტიკის დახვეწას, რეგიონული ოფისების განვითარებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების შემუშავებას.

სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების კოორდინაციის უფლებამოსილება გადაეცა ადმინისტრაციულ დირექტორს, ხოლო პროექტულ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- ადამიანის უფლებების დაცვა
- დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა
- სამართლებრივი დახმარება

წარმოგიდგენთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2022 წლის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი: 2021 წლის 1-ლი ნოემბერი – 2022 წლის 1-ლი ნოემბერი.

1

ადამიანის უფლებები

პროგრამის პრიორიტეტები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

1. **თანასწორობის პოლიტიკა**
2. **სოციალური პოლიტიკა**
3. **სისხლის სამართლის მართლმსაჯულება**
4. **გამოხატვის თავისუფლება**

თანასწორობის პოლიტიკა

ქალები

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა, დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება, სქესობრივი ძალადობა, ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმა, გენდერული უთანასწორობა, ფემიციდი - ეს საკითხები საქართველოსთვის კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. წლებია, უფლებადამცველი ორგანიზაციები, აქტივისტები იბრძვიან ქალთა უფლებებისთვის, თუმცა ამ კუთხით ყოველწლიურად კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი დარღვევა ვლინდება.

ძალადობის მრავალ ფორმასთან ერთად, ქალები საქართველოში ხშირად განიცდიან სოციალურ უთანასწორობასაც. ასევე, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ქალი ექსპერტების არასაკმარისი რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა კვლევა „თანასწორობა ჩვენი უფლებაა და უნდა იყოს ჩვენი მომავალი“. დოკუმენტი ეხება საქართველოში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მომზადდა ასევე ანგარიში „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფისთვის საქართველოში“.

საიამ გამოაქვეყნა კიდევ ერთი კვლევა „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“, რომელშიც გაანალიზებულია ამ საკითხთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები, შეფასებულია საქართველოში სექსუალური შევიწროების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევის შემდეგ ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენების, სექსუალური შევიწროების ფაქტების გამოვლენის სიხშირისა და მათზე სათანადო რეაგირების ტენდენციები. კვლევას თან ერთვის შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც, საიას აზრით, ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროების შემთხვევების პრევენციას, ამგვარ ფაქტებზე ეფექტიან რეაგირებას და სამართალდამრღვევი პირის მიმართ ქმედების თანაზომიერი სახდელის დაკისრებას.



შშმ პირები

შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საანგარიშო პერიოდში არცერთი მიმართულებით საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა. მათთვის კვლავ პრობლემად რჩება დაბრკოლებები, რომლებსაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან. ეს კი სახელმწიფოს არაეფექტიანი და არასისტემური პოლიტიკით, ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობით არის განპირობებული.

ქვეყანაში გამოწვევად რჩება შშმ პირთა დასაქმების საკითხი. მათ ინკლუზიას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორ ჩართვას დამატებით ბარიერებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება სამედიცინო დიაგნოზზე დაფუძნებული მოდელით. ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ გაცხადებული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ეს საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

პანდემიამ განსაკუთრებული სირთულეები წარმოშვა ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიმართულებითაც. ამ საკითხზე საიამ მოამზადა კვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლება კოვიდ-19-ის დროს“. დოკუმენტში შეფასებულია განათლების უფლებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ხელმისაწვდომობა და სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები, ასევე გაანალიზებულია ის ხარვეზები, რომლებმაც პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით იჩინა თავი შინ სწავლების პროცესში.

ბავშვები

ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით კანონმდებლობაში შესული არა-ერთი პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, პრაქტიკაში ეს საკითხი კვლავ პრობლემურია. გარდა იმისა, რომ პანდემიამ და სკოლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ გავლენა იქონია ბავშვთა განათლების უფლებაზე, ასევე კვლავ მაღალი იყო სწავლის მიტოვებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი.

საია ყოველწლიურად აკვირდება ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და სწავლობს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბავშვთა სიღარიბე. განსაკუთრებით რთულ პირობებში უწევთ ბავშვებს ცხოვრება სოციალურ საცხოვრისებში. შემაშფოთებელია ასევე ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების შემთხვევათა გაზრდილი რაოდენობა.

გარდა ამისა, სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ გართულებულია ბავშვთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობის, ასევე შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევათა დროულად გამოვლენა.

სხვა სისტემურ პრობლემებთან ერთად, კვლავ გამოწვევად რჩება დიდი ზომის დაწესებულებების ზრუნვის ალტერნატიული ფორმებით სრულყოფილად ჩანაცვლების საკითხი.

ლგბტქი+

ლგბტქი+ თემი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფია. მისი წარმომადგენლები ამ წელსაც ხშირად იყვნენ სიძულვილის ენის, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლები.

ამ თემის წარმომადგენლები საქართველოში უგულებელყოფილნი არიან სახელმწიფო დონეზეც. არ არსებობს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი ლგბტქი+ პირების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების სათანადოდ დასაცავად. ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად შემუშავებულ ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში ლგბტქი+ პირები არ არიან პრიორიტეტად იდენტიფიცირებულნი და არაფერია ნათქვამი თემის წევრთა საჭიროებებზე.

სოციალური პოლიტიკა

შრომის უფლება

საია აქტიურადაა ჩართული „ღირსეული შრომის პლატფორმის“ საქმიანობაში, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებს, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებსა და აქტივისტებს. პლატფორმის მონაწილეებმა გაავრცელეს არაერთი განცხადება, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ადამიანების - ექთნების, სოციალური მუშაკების, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და სხვა პირების უფლებრივ მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში „ღირსეული შრომის პლატფორმამ“ გამოაქვეყნა კვლევა „მოპარული ხელფასი საქართველოში - შრომითი უფლებების დარღვევის ფინანსური გავლენა მშრომელთა უფლებებზე“. დოკუმენტში შეფასებულია მოპარული ხელფასის უკანონო პრაქტიკა ქვეყანაში და მასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია. კვლევა ეფუძნება ონლაინინსტრუმენტის - მოპარული ხელფასის გამომთვლელის მონაცემებს. ის ეხმარება დასაქმებულებს, დაახლოებით გამოითვალონ ის თანხა, რომელსაც შეიძლება კუთვნილი ანაზღაურებიდან კარგავდნენ.

საიამ ასევე მოამზადა კვლევა „შრომითი უფლებები საჯარო სამსახურში: სამინისტროები და თვითმმართველი ქალაქები“. მასში მოცემულია საჯარო სამსახურში შრომითი უფლებების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შედარებითი ანალიზი, შესაბამისობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან, ასევე კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის შედეგები და დარგის ექსპერტების, საჯარო მოსამსახურეების შეხედულებები თუ აღქმები შრომითი უფლებების იმპლემენტაციის თაობაზე. კვლევის ფარგლებში შესწავლილია ისეთი შრომითი უფლებები, როგორებიცაა: ა) საჯარო მოსამსახურის სამუშაო დრო და დასვენების დრო; ბ) ზეგანაკვეთური სამუშაო და შესაბამისი სახელფასო დანამატი; გ) არასრულ განაკვეთზე მუშაობა; დ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებები; ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და მისი ანაზღაურება; ვ) პროფესიული განვითარების გამო შვებულება; ზ) შრომითი უფლებები კარიერის მართვის პროცესში; თ) პროფესიული კავშირები. კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და რეკომენდაციები წარედგინა სამიზნე საჯარო დაწესებულებებს, საჯარო სამსახურის ბიუროსა და შრომის ინსპექციას.

საანგარიშო პერიოდში საიამ ევროპის საბჭოს სოციალური უფლებების კომიტეტში წარადგინა ალტერნატიული ანგარიში საქართველოს მთავრობის მიერ ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირებული მუხლების, მათ შორის, შრომის უფლების იმპლემენტაციის თაობაზე.

გარემოს დაცვა

საიას მოსაზრებები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე

საანგარიშო პერიოდში საიამ პარლამენტს წარუდგინა მოსაზრებები კანონპროექტზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტის მიხედვით, სხვა ცვლილებებთან ერთად, იგეგმებოდა ინსტიტუციური გარდაქმნა, კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის გადატანა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში, რომელსაც გადაეცემოდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის აღსრულების უფლებამოსილება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას. მისი მომზადებისას არ იყო შესწავლილი და გაანალიზებული სხვა ქვეყნების გამოცდილება. ცვლილებების პროექტი არაერთგზის უარყოფითად შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. საიამ, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, რამდენჯერმე წარადგინა მოსაზრებები კანონპროექტის ხარვეზებთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოო ვარიანტში ხელისუფლებამ სამოქალაქო სექტორის არცერთი შენიშვნა თუ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. 2022 წლის მარტში კი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა ცვლილებების პროექტს, რომლის მიმართაც საზოგადოებაში არაერთი საფუძვლიანი კითხვა და ეჭვი არსებობდა.

მარტის ბოლოს გამოქვეყნდა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის დაკვეთით მომზადებული ყოველწლიური ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. ანგარიშის ავტორია სორბონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ევროპის კოლეჯის მოწვეული ლექტორი ლორა დელკური. ამ დოკუმენტში აისახა საიას კრიტიკული შეფასება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ხსენებული კანონპროექტი შეეხება ასევე სკრინინგის პროცედურას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების მოცულობის/ზღვრების კორექტირებას და დაზუსტებას. საია დადებითად აფასებს ამ ცვლილებებს, რომელთა ინიციატორიც, სხვა გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან ერთად, თავად იყო.

წინასამედიაციო პროცესი ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში საია ჩართული იყო ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ წინასამედიაციო პროცესში, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობასა და, მეორე მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შპს „ენკა რინიუებლზმა“ საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულება შეწყვიტა და პროექტი აღარ განხორციელდებოდა, გარკვეული საკითხები, რომლებზეც მანამდე შეთანხმება იყო მიღწეული, დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმცა, ძალაში დარჩა ერთერთი მათგანი - საქართველოს ენერგეტიკის განვითარების გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობასა და დაინტერესებულ პირებს შორის 10 სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლებშიც საია აქტიურად მონაწილეობდა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდეს და მათი მონაწილეობა გეგმის საბოლოო პროექტზე შინაარსობრივად აისახოს. აუცილებელია, სათანადო პასუხი გაეცეს არსებულ კითხვებს, იმავდროულად, გეგმაში გათვალისწინებული იყოს ყველა რელევანტური მოსაზრება, ასევე ეკონომიკური, ენერგეტიკული, გარემოსდაცვითი და სოციალური ინტერესები, ხოლო საბოლოოდ, ის დაეფუძნოს კონსენსუსის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი ითხვისი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე

2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში თავი იჩინა საცხოვრებელი სახლების დაზიანების ახალმა შემთხვევებმა. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, მათი სახლები კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ წიაღისეულის მოპოვებას ეწირება. ამ დროისთვის საცხოვრებლად საშიშია 34 სახლი, რომლებიც აღდგენას და შეკეთებას აღარ ექვემდებარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში, უკვე წლებია, ამგვარი ვითარებაა, თუმცა, ადგილობრივთა მოთხოვნებს საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დღემდე შედეგი არ მოჰყოლია.

საანგარიშო პერიოდში საიამ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ რამდენიმე გასვლითი შეხვედრა გამართეს სოფელ ითხვისში და დაზარალებულ მოსახლეობას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს. გარდა ამისა, ორგანიზაციების იურისტებმა პასუხისმგებელი საჯარო უწყებებიდან გამოითხოვეს და შეისწავლეს ითხვისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „მწვანე ალტერნატივა“, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“) ერთად, ითხვისელთა კანონიერი ინტერესების დასაცავად რამდენიმე საჯარო განცხადება გაავრცელა. ორგანიზაციებმა პასუხისმგებელი უწყებებისგან მოითხოვეს: შესაბამისი ზომების მიღება მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; პროცესების გამომწვევი მიზეზების, დაზიანების ხარისხისა და საშიშროების რისკების გაანალიზება; „ჯორჯიან მანგანეზის“ მხრიდან სალიცენზიო პირობების შესრულების ეფექტიანი ზედამხედველობა, ასევე, მის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეფასება; ითხვისის მაღაროს სრული ტექნიკური ინსპექტირება და მისი მდგომარეობის შესწავლა მომავალში საფრთხის თავიდან ასარიდებლად; განსახლებისა და კომპენსირების სამართლიანი სტანდარტის დანერგვა და ა.შ.

ტრენინგები და კონფერენციები გარემოსდაცვითი სამართლის საკითხებზე

საანგარიშო პერიოდში საიამ პარტნიორი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, გარემოსდამცველი აქტივისტებისა და საკუთარი თანამშრომლებისთვის გამართა ორი ტრენინგი გარემოსდაცვითი სამართლის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრების მიზანი იყო დაინტერესებული აუდიტორიისთვის ინფორმაციის გაზიარება იმ გამოწვევების თაობაზე, რომელთა წინაშეც იმყოფება თანამედროვე მსოფლიო, მათ შორის, საქართველო, ცნობიერების ამაღლება ამ პროცესში ადამიანის უფლებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების, ასევე სახელმწიფოების ვალდებულებების შესახებ და ა.შ.

გარდა ამისა, საიამ მონაწილეობა მიიღო პანელურ შეხვედრაში, რომელიც სტოკჰოლმ+50 (ჯანსაღი პლანეტა ყველას კეთილდღეობისთვის - ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენი შესაძლებლობა) კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა. ეს იყო ერთგვარი ეროვნული კონსულტაცია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიზნებზე. საიამ წარმოადგინა მოხსენება საქართველოში გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, ასევე - მოსაზრებები, როგორ უნდა გაუმჯობესდეს ამ კუთხით არსებული ვითარება.

2022 წელს საქართველოში ასევე გაიმართა YOUNGO-ს (კლიმატის ახალგაზრდული მოძრაობა) მიერ ორგანიზებული ახალგაზრდული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო კლიმატის ცვლილების აქტუალურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ახალგაზრდებისთვის აზრის გამოსახატავად ღია გარემოს შექმნა და ამ პროცესებში მათი როლის, ჩართულობის, შესაძლებლობების გაძლიერება. 26 სექტემბერს ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე საიას ანალიტიკოსმა ისაუბრა იმ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რომლებიც კლიმატის ცვლილების კონტექსტში

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებობს; ასევე ვალდებულებებზე, რომლებიც სახელმწიფოებს გააჩნიათ ამ უფლებათა დასაცავად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე; გარდა ამისა, ახალგაზრდებს გააცნო ამ მხრივ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა; იმავდროულად, განუმარტა, როგორ შეუძლიათ, ჩაერთონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროცესებში და სახელმწიფოსგან თავიანთი უფლებების სათანადოდ დაცვა მოითხოვონ.

საია მომხსენებლად იყო ასევე მიწვეული 2022 წლის ოსლოს გარემოსდაცვითი სამართლის საერთაშორისო კონფერენციაზე - „სამართლის ტრანსფორმაციული ძალა: გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარება“. ორგანიზაციის ანალიტიკოსმა წარმოადგინა მოხსენება „მომავალი თაობების უფლებები: ახალი ტიპის სამართლებრივი მოწესრიგება“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN), გარემოსდაცვითი სამართლის შესახებ მსოფლიო კომისია (WCEN) და ოსლოს უნივერსიტეტი. მას ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი იურისტები, მოსამართლეები, გარემოს დამცველები. მათ შორის, მოხსენებით წარდგა დევიდ ბოიდი - გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საკითხებში.

გამოცემები

საიამ საანგარიშო პერიოდში მოამზადა კვლევა „გარემოს დაცვის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“. მასში წარმოდგენილია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ნაშრომში განხილულია ევროკავშირის 2008/99/EC დირექტივა სისხლის სამართლის გზით გარემოს დაცვის შესახებ, ასევე, ამ სფეროში ახალი დირექტივის პროექტი, რომელმაც ზემოთ მითითებული დირექტივა უნდა ჩაანაცვლოს. გარდა ამისა, გაანალიზებულია გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლის კუთხით არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან გერმანია, შვედეთი და ლი-

ეტუვა. კვლევაში საუბარია არაერთ მნიშვნელოვან ხარვეზზე, რომლებიც საქართველოში კანონმდებლობისა თუ მისი აღსრულების კუთხით გამოვლინდა და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ასევე ბროშურა „კლიმატის ცვლილება და ადამიანის უფლებები“, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კლიმატის ცვლილების ფენომენის შესახებ, დეტალურად არის განმარტებული, რომელი ძირითადი უფლებები ირღვევა ამ პროცესში და რა სახის უარყოფით გავლენას ახდენს ის ადამიანებზე. გარდა ამისა, ბროშურაში განხილულია საერთაშორისო სამართალი კლიმატის ცვლილების შესახებ, მასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულებები და პრინციპები, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა და საქართველოს ვალდებულებები ამ კონტექსტში.

კიდევ ერთ საინფორმაციო ბროშურაში - „გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები“ - საუბარია კავშირზე ადამიანის უფლებებსა და გარემოსდაცვით საკითხებს შორის, განმარტებულია, რა საფრთხეებს შეიძლება უკავშირდებოდეს გარემოსდაცვითი პრობლემების უგულებელყოფა და რა ვალდებულებები გააჩნიათ ამ კუთხით სახელმწიფოებს. ბროშურაში განხილულია ამ სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა, დეტალურად არის განმარტებული ის ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება დაირღვეს არასათანადო გარემოსდაცვითი მმართველობის პირობებში და გაანალიზებულია არსებული სასამართლო პრაქტიკა.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც ყოველწლიურად 5 ივნისს აღინიშნება, საია სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. მასში საუბარი იყო იმ გამოწვევებზე, რომლებიც კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების განადგურებისა და გარემოს უკიდურესი დაბინძურების სახით მთელ მსოფლიოში არსებობს. განცხადება შეეხო ასევე სა-



ქართველოში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, მათ შორის, ენერგეტიკული პროექტის განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შესულ ინსტიტუციურ ცვლილებასა და ენერგეტიკის განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ასევე ბლოგი „უფლება სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე“. ის მიეძღვნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2022 წლის 28 ივლისს მიღებულ ისტორიულ რეზოლუციას, რომლითაც მან სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომის უფლება პირველად აღიარა ადამიანის ძირითად უფლებად საერთაშორისო დონეზე. ბლოგში საუბარი იყო აგრეთვე გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე ადამიანის უფლებებით სათანადოდ სარგებლობის კონტექსტში და ამ კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა სპეციალური ანგარიში „პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე“.

კოვიდ-19-ის გავრცელებამ არსებითად შეცვალა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების წესი. პანდემიის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ დისტანციური სამართალწარმოების პროცესში კვლავ არსებობს საკანონმდებლო რეგულირებასა და ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები.

არ არსებობს დისტანციური სხდომების დროს ქცევის წესების ერთიანი ნორმატიული რეგულაცია. გარდა ცალკეული შემთხვევისა, მოსამართლეები დამსწრე პირებს სხდომაზე ქცევის მინიმალურ წესებსაც არ აცნობენ.



პანდემიის დაწყებიდან მოყოლებული, კვლავ გრძელდება მოწმეთა დაკითხვა პოლიციის ადმინისტრაციული შენობიდან, რაც ნეგატიურად აისახება მოწმის შესაძლებლობაზე, ინფორმაცია ფსიქოლოგიური თუ სხვაგვარი წნეხისგან თავისუფალ გარემოში გადმოსცეს.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის დაცვა როგორც პროცესის მიმდინარეობისას, ისე პენიტენციურ დაწესებულებებში.

დისტანციური პროცესების დროს არსებობს ბრალდებულისა და პროცესის მონაწილე სხვა პირების პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოების, ასევე, იმ დაფარული ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე, რომლის შესახებაც დახურულ სხდომებზეა საუბარი. გარდა ამისა, დღემდე არ არსებობს დისტანციურ პროცესებზე მოწმეთა დასაკითხად გამოყოფილი სპეციალური სივრცეები, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და მოწმეები ჩვენებას ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალ გარემოში მისცემენ.

კვლევაში წარმოდგენილია ასევე შესაბამისი რეკომენდაციები გამოვლენილი პრობლემების მოსაწესრიგებლად.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები

საანგარიშო პერიოდში საია ჩაერთო საქართველოს პარლამენტში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში.

ორგანიზაციის შეფასებით, ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ამგვარი გაფართოება შესაბამის დასაბუთებას საჭიროებდა. იმავდროულად, უმნიშვნელოვანესი იყო პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის პრინციპების მხედველობაში მიღება.

ამის საპირისპიროდ, კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არ შეიცავდა ცვლილების საჭიროების სათანადო დასაბუთებას თითოეულ მუხლთან მიმართებით. არ იყო გაზომილი პირთა (მათ შორის, მესამე პირების) პირად ცხოვრებაში ჩარევის მასშტაბები და ამასთან დაკავშირებული საფრთხეები. პრობლემური იყო ფარული მიყურადების სუბიექტისთვის შეტყობინების ვადებიც.

საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადო. ის ნეგატიურად შეაფასა ვენეციის კომისიამაც და განმარტა, რომ ცვლილებები ნაჩქარევად იყო მიღებული და შემდგომ დამუშავებას საჭიროებდა. კომისიამ არასაკმარისად მიიჩნია ასევე საიდუმლო თვალთვალის ზედამხედველობის საერთო მექანიზმი.

მიუხედავად ამისა, პარლამენტმა ეს კანონი მიიღო, რითაც მნიშვნელოვნად გააუარესა ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი.

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №16 ანგარიში

ყოველწლიური სერიის ფარგლებში საიამ მოამზადა „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №16 ანგარიში“, რომელშიც შეფასებულია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში მიმდინარე სხდომების დროს გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები.

მონიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ არაერთი ისეთი სისხლის სამართლის საქმის განხილვას, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. ანგარიშში შეფასებულია ამ საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გამოვლენილი ტენდენციები. სხვადასხვა დანაშაულებრივი ეპიზოდების დროს დაზარალებული ჟურნალისტების სიმრავლის გამო, საიას განსაკუთრებული დაკვირვების ფარგლებში მოექცა მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის საქმეები.

წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემა იყო სასამართლოს მხრიდან არასათანადო კონტროლი, რაც გამოიხატებოდა დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაში. გარდა ამისა, მოსამართლეები თითქმის ყველა შემთხვევაში ამტკიცებდნენ საპროცესო შეთანხმებას. საგრძნობლად არც დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვის კუთხით არსებული ვითარება გაუმჯობესებულა.

ანგარიშში დადებითად არის შეფასებული 2022 წლის 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დააკმაყოფილა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები (№1341 და №1660) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

სსსკ-ის მოცემული ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას, ყველა შემთხვევაში იწვევდა პირის პატიმრობას გირაოს უზრუნველყოფამდე. წარდგინებების ავტორი მოსამართლე მიიჩნევდა, რომ სასამართლოს უნდა ჰქონოდა უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად გადაეწყვიტა, საჭირო იყო თუ არა პირის მიმართ პატიმრობის გამოყენება გირაოს უზრუნველყოფის მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლომ წარდგინებები დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა მოსამართლის მიერ ბრალდებულის გათავისუფლებას გირაოს შეტანამდე.

საგულისხმოა, რომ საია წლების განმავლობაში საუბრობდა ამ საკითხზე და შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას ითხოვდა. ორგანიზაციის აზრით, ეს გადაწყვეტილება ბრალდებულის უფლებების რეალიზებისა და ნორმის ბუნდოვანების აღმოფხვრის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტია მედიის თავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის უსაფრთხო პოლიტიკური გარემოს შექმნა, რაც გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდი ამ უფლების რეალიზების კუთხით გამოწვევებით იყო სავსე.

2022 წელს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში მედიის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა. გახშირებულია ჟურნალისტებზე სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის, მათთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტები, ხოლო სახელმწიფოს პასუხი ამგვარ ქმედებებზე არაეფექტიანია. იმავდროულად, მედიის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება არის აგრესიული და სიძულვილის ენის შემცველი.

გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების გამოძიება, რომელშიც საია საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად იყო ჩართული, ხშირი კომუნიკაცია ჰქონდა საგამოძიებო უწყებებთან და მონიტორინგს უწევდა სასამართლო სხდომებს.

ორგანიზაციის შეფასებით, გამოძიება, მისი ფოკუსიდან და ბრალდებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, არ არის ყოველმხრივი და სათანადოდ ეფექტიანი. კონკრეტულ ეპიზოდებთან დაკავშირებით დღემდე არ არის გამოკვეთილი როგორც მოძალადე პირების, ისე ძალადობის ორგანიზატორთა პასუხისმგებლობა.

კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითია ე.წ. რუსთავი 2-ის საქმე, რომელზეც საია სასამართლო სხდომების მონიტორინგს ახორციელებდა. ორგანიზაციამ ასევე შეაფასა ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლისა და დირექტორის, ნიკა გვარამიას, ასევე კახაბერ დამენიას და ზურა იაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი და მიიჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი.

საანგარიშო პერიოდში საია ასევე აქტიურად იყო ჩართული მედიის სფეროში მიმდინარე სხვა პროცესებში. „მედიის ადვოკატირებისთვის“ კოალიციასთან ერთად, გამოქვეყნდა არაერთი საჯარო განცხადება მათ მხარდასაჭერად. კოალი-

ცია რამდენჯერმე გამოეხმაურა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრობლემურ მიდგომებს, მათ შორის, პროგრამის შინაარსის განხილვასა და თვითრეგულირების მცდელობასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ. პროექტის თანახმად, კომუნიკაციების მარეგულირებლის ხელში გადადის სიძულვილის ენის საკითხი, რომელიც აქამდე თვითრეგულირების მექანიზმში ექცეოდა. საიას შეფასებით, ცვლილებები შეიცავს რისკებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და პოლიტიკური მიზნებისთვის მათი გამოყენების თვალსაზრისით.

სხვა აქტივობები

ადამიანის უფლებათა კვირეული

2021 წლის დეკემბრის დასაწყისში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საიამ გამოაქვეყნა ვრცელი შეფასება საქართველოში სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობისა და, ზოგადად, ქვეყანაში ამ კუთხით არსებული ვითარების შესახებ.



დოკუმენტში საუბარია საიას მიერ 2021 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა სფეროში იდენტიფიცირებულ ძირითად გამოწვევებზე ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით, როგორებიც არიან: ქალები, ბავშვები, ეთნიკური უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული, ასევე უსახლკარო ადამიანები, ლგბტქი პირები და ა.შ.

გარდა ამისა, გაანალიზებულია სიტუაცია ისეთ უფლებებთან მიმართებით, როგორებიცაა: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მედიის და გამოხატვის თავისუფლება, შრომის უფლება, გარემოს დაცვა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, არჩევნებში ნების თავისუფალი გამოხატვა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და სხვა.

5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება

საანგარიშო პერიოდში საიამ გამოაქვეყნა კვლევა „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“. დოკუმენტი ეხება 2021 წლის ივლისში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციაზე ულტრამემარჯვენე ჯგუფის წევრები ათობით მედიის წარმომადგენელს თავს დაესხნენ, ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ტექნიკა დაუმტვრიეს.

დოკუმენტში ქრონოლოგიურად არის აღწერილი „ღირსების კვირეულამდე“ არსებული მდგომარეობა, სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადებები და ზოგადი განწყობები საზოგადოებაში. ასევე, კვლევის ფარგლებში შესწავლილია კვირეულის დროს განვითარებული მოვლენები და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ტენდენცია. გარდა ამისა, განხილულია დაწყებული გამოძიების მიმდინარეობა, შედეგები და მათი შესაბამისობა რეალურ ფაქტობრივ გარემოებებთან.

საიას შეფასებით, 2021 წლის 5 ივლისს სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად. აგრესიულმა ჯგუფებმა დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, ჩაიდინეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, შელახეს ლგბტქ+ თემის წევრებისა და მათი მხარდამჭერების შეკრებისა და გამოხატვის, ასევე, კერძო საკუთრების უფლებები, უხეშად ჩაერივნენ მედიის თავისუფლებასა და ჟურნალისტურ საქმიანობაში. ამის პარალელურად, სახელმწიფომ არ შეასრულა საკუთარი პოზიტიური ვალდებულებები. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებმა, ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირების ნაცვლად, რეალურად, წააქეზა ძალადობა და აგრესიული ქმედებები. ამ ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება კი იწვევს მათ წახალისებას, აჩენს „დაუსჯელობის სინდრომს“ და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მსგავსი ფაქტები ქვეყანაში ბადებს პროფესიული საქმიანობის განხორციელების, პიროვნების იდენტობის, აზრის გამოხატვისა და თავისუფალი განვითარების შიშს. ეს კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს იდეას.

2

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

პროგრამის პრიორიტეტები

ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ინსტრუმენტად იქცევა პოლიტიკური და კლანური დაჯგუფებების ხელში. ამ პირობებში საჯარო სიკეთე სწორედ მათ კეთილდღეობას ხმარდება, სხვა მოქალაქეების ინტერესები კი უგულებელყოფილია. საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა განაგრძობს ისეთ რეფორმებსა და პროექტებზე მუშაობას, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში მყარი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ინკლუზიური პოლიტიკის მქონე ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

პროგრამა საანგარიშო პერიოდში 6 ძირითადი მიმართულებით მუშაობდა:

- **საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი**
- **მართლმსაჯულება**
- **საჯარო მმართველობა**
- **ადგილობრივი თვითმმართველობა**
- **არჩევნები**
- **ევროინტეგრაცია**

საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი

2022 წლიდან საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამამ გააქტიურა საპარლამენტო საქმიანობის მონიტორინგი, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის საკითხებს, არამედ მისი მუშაობის ყველა პროცედურულ ასპექტს.

მიმდინარე წლის გაზაფხულიდან პოლიტიკურ და სამოქალაქო წრეებში დაიწყო მსჯელობა ე.წ. ტექნიკური მთავრობის შექმნის თაობაზე. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საიამ შეისწავლა ამ ტიპის მთავრობების არსი, დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათ შორის, სხვა ქვეყნების გამოცდილება და მოამზადა

მცირე კვლევა ტექნიკური (ტექნოკრატიული) მთავრობების შესახებ.



მონიტორინგის ფარგლებში საიამ ასევე გააანალიზა კანონების დაჩქარებული წესით მიღების ტენდენციები ბოლო სამი მოწვევის პარლამენტში. ინტერესის საგანი იყო არა მხოლოდ სტატისტიკა, არამედ თვისებრივი კვლევის მეთოდით იმ კანონების იდენტიფიცირება, რომელთა მიღებაც პარლამენტმა 1 კვირის ვადაში გადაწყვიტა. კვლევაში ასახულია ის ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც თან ახლდა დაჩქარებული წესის გამოყენებას არასაჩქარო კანონებთან მიმართებით.

საიამ პარლამენტს ასევე წარუდგინა მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში დაგეგმილ ცვლილებებზე, რომლებიც ითვალისწინებდა პრეზიდენტის ქმედებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ამ საკითხზე ორგანიზაციამ რამდენიმე განცხადებაც გამოაქვეყნა.

ორგანიზაცია, შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ასევე სწავლობდა პარლამენტის საზედამხედველო ინსტრუმენტების ფუნქციონირებას. 2022 წლის თებერვლიდან საიამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრთან ერთად, CRRC საქართველოსთან პარტნიორობით და ევროკავშირის მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევის, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“. პროექტის მიზანია შესაბამისი პროგრამების მეშვეობით

საპარლამენტო და სასამართლო კონტროლის მექანიზმების დახვეწა და გაძლიერება. მასში ჩართულები არიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები. პროექტის ფარგლებში დაწყებულია საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების შესწავლა 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის ორივე სესიის მასშტაბით.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ბლოგი „თემატური მოკვლევა მე-10 მოწვევის პარლამენტში“. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ სასწავლო კურსის შეთავაზების მიმართულებით.

საანგარიშო წლის ივლის-აგვისტოში პარლამენტში ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, ერთ-ერთის ამოცანა იყო საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება. ამ ჯგუფის საქმიანობაში საია წევრის სახით მონაწილეობდა და საკუთარ ხედვას თუ რეკომენდაციებს სთავაზობდა როგორც ზეპირად, ისე წერილობითი სახით. სექტემბრიდან ორგანიზაცია უკვე აქტიურად ჩაერთო ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების საკომიტეტო განხილვებში და შესაბამისი მოსაზრებები წარადგინა.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების რეფორმასთან დაკავშირებულ სამუშაო პროცესებში საია კვლავ აქტიურად არის ჩართული. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია ადვოკატირებდა ფუნდამენტურ ცვლილებებს ამ სფეროში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საიამ რეკომენდაციები წარადგინა სასამართლო რეფორმების სამუშაო ჯგუფში, რომელიც პარლამენტში ევროკავშირის მოთხოვნების შესასრულებლად შეიქმნა. ორგანიზაცია ჯგუფის შეხვედრებშიც მონაწილეობდა.

გარდა ამისა, საია თვალყურს ადევნებდა საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის განცხადებებს აქვე-

ყნებდა. ორგანიზაციამ ხარვეზები გამოავლინა საკონსტიტუციო სასამართლოში კოლეგიების გადახალისების პროცესთან მიმართებით.

საია, მმართველი კომიტეტის წევრის მანდატით, მონაწილეობს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ საქმიანობაში. ორგანიზაცია ჩართული იყო ყველა იმ განცხადებისა და დოკუმენტის მომზადებაში, რომლებიც საანგარიშო პერიოდში კოალიციის სახელით გამოქვეყნდა.

კვლავ გრძელდება მართლმსაჯულების ორგანოების მონიტორინგი და სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური დახმარებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში გამოიცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის მე-10 ანგარიში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- სასამართლო სისტემაში არსებული კლანური მმართველობა;
- მოსამართლეთა დანიშვნა-ნომინირების საკანონმდებლო ხარვეზები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, კანდიდატთა ლოიალობის ნიშნით შერჩევა;
- „კლანის“ ძალაუფლების ერთ-ერთი ბერკეტი - სასამართლოს თავმჯდომარეების ქაოსური, ბუნდოვანი დანიშვნის პრაქტიკა;
- გაჭიანურებული დისციპლინური სამართალწარმოება;
- 2021 წლის ბოლოს ნაჩქარევად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც სისტემაში კლანური მმართველობა წაახალისა.



ანგარიში მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც.

გარდა ამისა, საიამ მოამზადა ინფოგრაფიკები, რომლებშიც მოცემულია მოქმედი მოსამართლე მენეჯერების კარიერული წინსვლის ეპიზოდები და აჩვენებს ე.წ. „მბრუნავი კარის“ პოლიტიკას.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია ასევე მონიტორინგს უწევდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და თანამდებობაზე განწესების პროცესს როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების, ასევე კანდიდატურათა საპარლამენტო განხილვების ეტაპებზე.

გარდა ამისა, გრძელდება სასამართლოს პლენუმის საქმიანობის მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა საკანონმდებლო წინადადება. ამასთანავე, საია, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ცდილობს, ხელი შეუწყოს საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა მცირე კვლევა - „2021 წლის ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ საერთაშორისო სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის ჭრილში“. გამოქვეყნდა ასევე ბლოგპოსტები: (1) „მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანა/დაწინაურება“; (2) მოსამართლე წევრთა მარტოობის ერთი წელი სასამართლოში“; (3) „ქართული მართლმსაჯულების რეფორმა - გაშვებული შესაძლებლობა“.

საჯარო მმართველობა

დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია გამართული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული მმართველობის ჩამოყალიბება. ამისთვის კი აუცილებელია კარგი საჯარო მმართველობის პრინციპების დამკვიდრება ყველა სფეროში.

საანგარიშო პერიოდში პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები თემაზე „საჯარო პოლიტიკის შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება”. ტრენინგებში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის, ფოთის, ახმეტის, მარნეულის, გარდაბნისა და თელავის მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით და IDFI-სთან პარტნიორობით 3 წელი გრძელდებოდა და 2022 წელს დასრულდა.

წინა წლების მსგავსად, საია ჩართულია საჯარო მმართველობის რეფორმის, ღია მმართველობისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ასევე აკვირდება და მონიტორინგს უწევს შესაბამის აქტივობებს. გასულ წელს საიამ, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, არაერთხელ საჯაროდ მოუწოდა საქართველოს მთავრობას ღია მმართველობის პროცესების გააქტიურებისკენ.

გამოქვეყნდა ბლოგები:

- „სახელმწიფო ქონების უპირობო პრივატიზაცია გრძელდება“, რომელიც შეეხებოდა „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ პროექტის ფარგლებში ეკონომიკის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას;
- „იცის თუ არა მერიამ, ჯამში, რამდენი ქონება გაიყიდა 1 ლარად“. ბლოგი აღწერდა თბილისის მერიის მიერ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად პრივატიზებული ქონების მოცულობას.

ადგილობრივი თვითმმართველობა

პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობას წინ უნდა უძღოდეს სტაბილური და ეფექტიანი ადგილობრივი თვითმმართველობების არსებობა. საანგარიშო პერიოდში საია მრავალმხრივ იკვლევდა და აკვირდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო რეგულირების პროექტებს, ასევე მათ ყოველდღიურ საქმიანობას.

საიამ გამოაქვეყნა დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებზე, რომლებიც შეეხებოდა საკრებულოს თანამდებობის პირების რაოდენობის გაზრდას, ასევე ფრაქციების დაკომპლექტებას. ამავე პროექტთან დაკავშირებით ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო საკომიტეტო განხილვებში. დამატებით, საიამ მოამზადა დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სარჩევნო კოდექსებში შესატან ცვლილებებზე, რომლებიც ითვალისწინებდა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის პროცედურის გაუქმებას, აგრეთვე ეხებოდა ბათუმისა და სენაკის საკრებულოებში გამოკლებული წევრების დამატების წესს.

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად არჩეულ 6 საკრებულოში წარმოქმნილი კრიზისის გადაჭრის გზებზე დისკუსიის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა საკრებულოებთან, რომლებმაც საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები და მოსაზრებები წარმოადგინეს. ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული ვითარება საიამ შეაჯამა კვლევაში „უმცირესობა უმრავლესობაში - პროცედურული ომი და არჩევნების შემდგომი კრიზისი საკრებულოებში“. დოკუმენტში მოცემულია სიტუაციისა და სამართლებრივი ნორმების ანალიზი, ასევე - შესაბამისი რეკომენდაციები პრობლემის მოსაგვარებლად. კვლევის პრეზენტაცია ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საიამ სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომლითაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოითხოვა სენაკის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტა 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში შეჩერებული საქმიანობის გამო. დავა ორ ფრონტზე მიმდინარეობდა - ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მთავრობის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთან მიმართებით პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

2022 წლის იანვარში საიამ ასევე შეიმუშავა მეთოდოლოგია საკრებულოების საქმიანობის ზედამხედველობის შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით, ხორციელდება საკრებულოების მონიტორინგი საიას ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით. ორგანიზაციის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებიან საკრებულოების ფუნქციონირებას, მართავენ კონსულტაციებს მის წევრებთან და ესაუბრებიან ადგილობრივ მოსახლეობას მათი ჩართულობის გასააქტიურებლად. იმავდროულად, მოწმდება საკრებულოს შიდა ზედამხედველობის მექანიზმების ეფექტიანობა.

არჩევნები



აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, საია საანგარიშო პერიოდშიც აგრძელებდა პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" განხორციელებას. პროექტის ამოცანაა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია აკვირდება თბილისსა და რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

2022 წლის აპრილში საია დააკვირდა ბათუმის საკრებულოს 79.04 მაჟორიტარულ ოლქში გამართულ შუალედურ არჩევნებს, რომელიც ელექტრონული სისტემით ჩატარდა. ამ გამოცდილებამ ორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა, უკეთესად გასცნობოდა პრაქტიკაში ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომელთა გამოყენებასაც მმართველი პარტია და ცენტრალური საარჩევნო კომისია სამომავლოდ კენჭისყრის პროცესის გამარტივების მიზნით გეგმავენ. დამატებით, საიამ შეაფასა წინასაარჩევნო გარემო. მაისში გამოქვეყნდა შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც გაანალიზდა როგორც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი და მეორე ტურების წინასაარჩევნო გარემო და კენჭისყრის დღე, ასევე ბათუმის 79.04 მაჟორიტარული ოლქის შუალედური არჩევნები. პროექტი საქართველოში ბრიტანეთის საელჩოსა და ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში. ორგანიზაციამ საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა არაერთი დასკვნა დეპუტატების მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე, მათ შორის, საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხზე. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების კვოტით საია ჩაერთო პარლამენტში საარჩევნო კანონმდებლობის რევიზიის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელსაც ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების ფარგლებში უნდა ემოქმედა. მოგვიანებით,

„ქართულმა ოცნებამ” მასში მონაწილეობაზე უარი უთხრა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას (ISFED), რის გამოც, სოლიდარობის ნიშნად, საიამ შეაჩერა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე დასწრება იქამდე, ვიდრე პროცესი კვლავ ინკლუზიური არ გახდებოდა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ ჯგუფს ოფიციალურად წარუდგინა წერილობითი დოკუმენტი, რომელიც, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, კანონპროექტის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. გარდა ამისა, საიამ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გაუგზავნა სამართლებრივი მოსაზრება, რომელიც მოიცავდა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის ანალიზს და დამატებით რეკომენდაციებს მის დასახვეწად.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საიამ ჯერ საქალაქო, შემდეგ კი სააპელაციო სასამართლოს მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლითაც სენაკის 64.04 მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები დაინიშნა. საიას აზრით, ეს არჩევნები კანონს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან საკრებულო 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ შეიკრიბა. ეს კი მისი უფლებამოსილების შეწყვეტისა და მუნიციპალიტეტში რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის საფუძველი იყო. სასამართლოებმა საიას მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, თუმცა ორგანიზაცია სამართლებრივ დავას აგრძელებს მთავრობის წინააღმდეგ, სენაკის საკრებულოსთვის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით.

პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში” ერთ-ერთი კომპონენტის - პოლიტიკური გარემოს მონი-



ტორინგის მიმართულებით საია ყოველთვიურად ამზადებს საინფორმაციო ბიულეტენებს. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 12 ასეთი დოკუმენტი. მათში აღწერილია ყველა ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომლებმაც გავლენა იქონია პოლიტიკურ გარემოზე.

საარჩევნო გარემოს შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანია პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის შემუშავება, რომლის ამოცანა სხვადასხვა, მათ შორის, დაუცველი ჯგუფების საარჩევნო-პოლიტიკური თანაბრობის ხარისხის გაზომვაა. იგი აჩვენებს, რამდენად მჭიდრო კავშირია ინსტიტუციურ ჩარჩოს, პოლიტიკურ პროგრამებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს შორის. პროექტი მიზნად ისახავს პოლიტიკური თანასწორობის საკითხის კვლევისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის მომზადებას, დაუცველი ჯგუფების ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაზე წვდომის შესაძლებლობების შესწავლასა და პოლიტიკური თანასწორობის პირველი ინდექსის შემუშავებას. საანგარიშო პერიოდში საია, ექსპერტთა ჯგუფებთან თანამშრომლობით, აგრძელებდა მონაცემების შეგროვებას და საქმიანობას საბოლოო კვლევითი დოკუმენტის შესაქმნელად.

ევროინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად მუშაობდა ევროინტეგრაციის საკითხებზე. გაიმართა რამდენიმე საინტერესო ონლაინდისკუსია, მათ შორის: „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გავლენა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე"; „პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში და მისი გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე"; „გზა ევროკავშირისკენ: რა ეტაპზეა საქართველო?". ღონისძიებათა სპიკერები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამოქალაქო და კვლევითი ორგანიზაციების ექსპერტები,





პოლიტიკოსები, ევროპარლამენტის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის დეპუტატები, ევროკავშირის დელეგაციისა და წევრი ქვეყნების სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში, აგრეთვე ევროკომისიის სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის განყოფილების წარმომადგენელი. საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენისა და შესაბამისი კითხვარის შევსების შემდეგ საიამ გამოაქვეყნა სტატიების ციკლი, რომლის მიზანი იყო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რა მოლოდინები უნდა ჰქონოდა მოსახლეობას, რას გულისხმობდა კითხვარის შევსება, როგორ მიმდინარეობდა ევროკავშირში კანდიდატის სტატუსის მინიჭების განხილვა და რას ნიშნავდა ევროპული კომისიის მოსაზრება საქართველოსთვის.

2022 წლის მაისში საიამ, პარტნიორ ორგანიზაცია „სოციალური სამართლიანობის ცენტრთან“ ერთად, გამართა ადვოკატირების შეხვედრები საქართველოს საკითხებზე მომუშავე ევროპარლამენტარებთან - იუოზას ოლეკასა და მარინა კალიურანდთან („ევროპის სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი”, S&D), ლუკას მანდლთან („ევროპის სახალხო პარტია”, EPP) და მარკეტა გრეგოროვასთან („მწვანეთა ალიანსი”, Greens/EFA). კომუნიკაციის მიზანი კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე მოსაზრებების მიმოცვლა და ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდაჭერა იყო.

2022 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადზე მოსაზრება გამოაქვეყნა, საიამ, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავა 12-ნაბიჯიანი სამოქმედო გეგმა იმ პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინებით, რომელთა შესრულებაც ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებაში დაეხმარება.

3

სამართლებრივი დახმარება

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა საანგარიშო პერიოდში 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- **იურიდიული დახმარება**
- **სტრატეგიული სამართალწარმოება**
- **აღსრულების მექანიზმების გამოყენება**
- **ჰააგის სასამართლოს საქმიანობის და საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობა**

იურიდიული დახმარება

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 22887 პირს.



გაწეული კონსულტაციები ტიპების მიხედვით:



მოგებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში საიამ ეროვნულ დონეზე წარმატებით დაასრულა 69 საქმე.

მოგებული საქმეები კატეგორიების მიხედვით



სულ 69

წარმოგიდგენთ წარმატებით დასრულებულ რამდენიმე საქმეს:

- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შშმ პირის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება დაევალა**

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შშმ პირის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაევალა, რაც გულისხმობს სამედიცინო სარეაბილიტაციო კურსის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის არსებობამდე ადაპტირებული ტრანსპორტით სარგებლობის საფასურისა და ღამის მომვლელის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას. გადაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში.

საქმე შეეხება პირს, რომელიც სკოლის დამთავრებისას ე.წ. „ბოლო ზარზე“ სკოლის მასწავლებელმა თანაკლასელებთან ერთად წაიყვანა გარდაცვლილი კლასელის საფლავზე. გზაში პედაგოგებმა გააჩერეს სატვირთო ავტომანქანა, რომელ-

საც მართავდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირი. მგზავრობისას მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესი, ავტომანქანა გადაბრუნდა და მოსარჩელე მისი ძარის ქვეშ მოყვა. შედეგად, მან სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო, რომელთა გათვალისწინებითაც, დაუდგინდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი უვადოდ.

საია დაზარალებულის ინტერესებს 2012 წლიდან იცავდა.

- **თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი პატიმრის საქმეზე მსოფლმხედველობის (ვეგანობის) გამო დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და სახელმწიფოს მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა**

2022 წლის 30 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ საიას წარმოებაში არსებულ საქმეზე მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა. მოპასუხეებს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, სოლიდარულად, 5 000 ლარის გადახდა დაეკისრათ.

2019 წელს მოსარჩელე მოათავსეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 დაწესებულებაში. ციხეში მოხვედრისთანავე მან ადმინისტრაციას აცნობა, რომ იყო ვეგანი (შესაბამისად, იკვებებოდა მხოლოდ მცენარეული ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით) და ითხოვა სპეციალური კვების რაციონით უზრუნველყოფა. თუმცა, სხვა პატიმრებისაგან განსხვავებით, დაწესებულებაში არ არსებობდა ვეგანთა მოთხოვნებზე მორგებული მენიუ. ამის გამო, მოსარჩელე იძულებული იყო, ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებული საკვებიდან აერჩია მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რომელიც თავსებადი იყო მის მსოფლმხედველობასთან. შედეგად, იგი ვერ იღებდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო საკმარის კომპონენტებს (ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებსა და ვიტამინებს). აქედან გამომდინარე, მოსარჩელე დავობდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში იყო მსოფლმხედველობის, კერძოდ, ვეგანობის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი.

ეს საქმე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ მოსარჩელის უფლებების აღდგენა, არამედ ეს გახდება პენიტენციურ დაწესებულებებში კვების საკითხებთან დაკავშირებული რეგულაციების გადახედვის საფუძველი. ეს არის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ ვეგანობის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა (ამ დროისთვის გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში).

საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული დაზიანების გამო, შპს „თბილისი ენერჯის“ ყოფილი თანამშრომლისთვის სარჩოს გადახდა დაეკისრა

საია იცავდა კომპანია „თბილისი ენერჯიში“ დასაქმებულ პირს, რომელიც მუშაობდა აღმრიცხველის პოზიციაზე და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, აივნის მოულოდნელი ნგრევის შედეგად, მიიღო ტრავმა - მარცხენა ლავიწის ძვლისა და მარცხენა წვივის ძვლების ღია მოტეხილობა. პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია - წვივის ძვლების ოსტეოსინთეზი.

მოსარჩელეს 2019 წლის ივნისში განესაზღვრა ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი უვადოდ. 2021 წლის ივლისში კი, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ მოსარჩელის მდგომარეობა დაკავშირებული იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებულ დაზიანებებთან, რამაც გამოიწვია მისი საერთო შრომის უნარის მყარი დაკარგვა 25%-ით.

მოთხოვნის მიუხედავად, დამსაქმებელი უარს აცხადებდა დაზარალებული თანამშრომლისთვის ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, საჭირო გახდა სასამართლოში სარჩელის შეტანა შპს „თბილისი ენერჯის“ წინააღმდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიას ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩოს გადახდა 2019 წლის ივნისიდან საპენსიო ასაკის მიღწევამდე. მოპასუხე სასარჩელო მოთხოვნებს არ ეთანხმებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მოთხოვნები იყო ხანდაზმული. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა მოცემულ მომენტში უნდა დაიწყოს არა უშუალოდ უბედური შემთხვევის მომენტიდან (2010 წლიდან), არამედ იმ თარიღიდან, როდესაც პირს ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი დაუდგინდა. გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანიას მოუწევს ყოფილი თანამშრომლისთვის სარჩოს გადახდა საპენსიო ასაკამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და მას საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2022 წლის 18 მაისის განჩინებით დაუშვებლად ცნო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა საიას სარჩელი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

საია ითხოვდა დროის კონკრეტულ შუალედში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ფიზიკურ პირებთან და 10 არარეზიდენტ პირთან დადებული ხელშეკრულებების გადმოცემას, თითოეულთან თანხის მითითებით. მაუწყებელმა მოთხოვნილი ხელშეკრულებების შესახებ გასცა მხოლოდ ზოგადი მონაცემები და დაჯამებული თანხების შესახებ ინფორმაცია.

სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საიას სააპელაციო საჩივარი და მაუწყებელს 10 არარეზიდენტ პირთან დადებული ხელშეკრულებების (თითოეულთან თანხის მითითებით) საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა დაავალა, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო დაწესებულების, სტატუსს და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება მისი საქმიანობის უმთავრეს პრინციპად მიიჩნია.

ძალადობის მსხვერპლი ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება დააკისრა

2022 წლის 14 აპრილს საიას წარმოებაში არსებულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება დააკისრა. კერძოდ, სამივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იმ ქალის დედას, რომლის თვითმკვლელობამდე მიყვანაც სახელმწიფომ თავიდან ვერ აიცილა, მორალური ზიანი აუნაზღაურონ.

მსხვერპლი ქალი მეუღლის (და შემდგომ ყოფილი მეუღლის) მხრიდან განიცდიდა სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ამის გამო, მან 5 წლის მა-

ნძილზე 16-ჯერ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებმაც კანონით გათვალისწინებული ეფექტიანი ღონისძიებები არ გამოიყენეს. 2017 წლის თებერვალში მსხვერპლი გარდაცვლილი იპოვეს, მისი ყოფილი მეუღლე კი თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით პასუხისგებაში მისცეს (თუმცა, უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე, საბოლოოდ, ოჯახში ძალადობად გადააკვალიფიცირა).

საიამ გარდაცვლილის დედის სახელით სასამართლოს მიმართა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე გენერალური პროკურატურისგან მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, ვინაიდან მათ ვერ დაიცვეს მსხვერპლის სიცოცხლის უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა. საქმე სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, რომელმაც, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია როგორც შსს, ისე გენერალური პროკურატურა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა მსხვერპლის არაერთი მიმართვა სათანადოდ არ შეაფასა და არ მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომები მოძალადის ქმედებების აღსაკვეთად.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციოს გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებასთან დაკავშირებით.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან, როგორც ფემიციდის სხვა ფორმების (როგორიც არის განზრახ მკვლელობა), ისე თვითმკვლელობამდე მიყვანის დროსაც სახელმწიფო ორგანოებს უნდა ეკისრებოდეთ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როცა მათ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ, მსხვერპლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების თაობაზე და არ დაიცვეს იგი მათ ხელთ არსებული საშუალებებით. ეს საქმე საქართველოსთვის პრეცედენტულია, რადგან ამ საკითხს სასამართლო თვითმკვლელობამდე მიყვანის თავიდან აცილების კონტექსტში განიხილავს.

■ ძალადობის მსხვერპლი ქალის საქმე წარმატებით დასრულდა

საიას აჭარის ფილიალი იცავდა ქალის ინტერესებს, რომელიც ორი წლის განმავლობაში იყო სისტემატური ძალადობის, დამცირების, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

2021 წლის ნოემბერში, საიას დახმარებით, მსხვერპლს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, ხოლო მოძალადეს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცხრა სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაუ-

ლისთვის (115-ე მუხლის პირველი ნაწილით - თვითმკვლელობამდე მიყვანა; 139-ე მუხლის პირველი ნაწილით - პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება; 144^3-ე მუხლის პირველი ნაწილით - დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; 151^1-ე მუხლის პირველი ნაწილით - ადევნება; 285-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) - კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება; 159-ე მუხლის პირველი ნაწილით - პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; 157^1-ე მუხლის პირველი ნაწილით - პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა; 157^1-ე მუხლის მე-2 ნაწილით - პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ან/და გავრცელება, მათ შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით; 381^1-ე მუხლის პირველი ნაწილით - შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე და მოძალადე დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 157^1-ე მუხლისა, რომელიც 157-ე მუხლზე გადააკვალიფიცირა (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა). სასამართლომ მოძალადეს სასჯელის სახედ და ზომად 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

■ დევნილი ოჯახი საცხოვრებელს მიიღებს

საიას ზუგდიდის ოფისი იცავდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის ინტერესებს, რომელიც სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარის გამო ედავებოდა.

სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა დევნილის სასარგებლოდ გადაწყდა. სასამართლომ ბათილად ცნო სააგენტოს გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარისთვის საცხოვრებლის გადაცემაზე უარი თქმის შესახებ. ასევე, მოპასუხე მხარეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახი საცხოვრებელ სახლს მიიღებს.

■ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საქმე წარმატებით დასრულდა

საიას ზუგდიდის ოფისი იცავდა ქალს, რომელიც წლების განმავლობაში იყო ძალადობის მსხვერპლი მეუღლის მხრიდან, რომელიც მას მეზობლებთან, მშობლებთან და სხვა პირებთან კომუნიკაციას უკრძალავდა. დაზარალებული გარეთ გასვლას მხოლოდ მეუღლესთან ერთად ახერხებდა, სხვა შემთხვევაში ის ბავშვთან ერთად სახლში იყო ჩაკეტილი, ხოლო გასაღები მოძალადეს ჰქონდა.

2019 წლის 9 სექტემბერს მსხვერპლმა, როდესაც ის ბავშვთან ერთად ჩაკეტილი იყო საცხოვრებელ ბინაში, პოლიციის გამოძახება მოახერხა. შედეგად, მოძალადის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ქალს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.

ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო და სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

■ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა პირმა დავა მოიგო

საიას გორის ოფისი იცავდა 2020 წელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალციხის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს. დასაქმებული იქ 2006 წლიდან მუშაობდა. 2020 წელს, რეორგანიზაციის გამო, იგი ისე გაათავისუფლეს, რომ არც საშტატო ნუსხა და არც შრომის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი წერილობითი დასაბუთება არ გადასცემია. მოსარჩელე ითხოვდა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

სამივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურიდან გათავისუფლება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა: გაბათილდა გათავისუფლების ბრძანება, პირი აღადგინეს სამსახურში და აუნაზღაურეს განაცდური ხელფასი.

აქტივისტების საქმეები წარმატებით დასრულდა

საიას აჭარის ფილიალი იცავდა 2022 წლის 1-ელ მარტს ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახლთან მიმდინარე აქციისას დაკავებული 8 პირის ინტერესებს. აქცია შეეხებოდა უკრაინაში რუსული აგრესიის შედეგად განვითარებულ მოვლენებს. მისი მონაწილეები გამოხატავდნენ უკრაინის მიმართ მხარდაჭერას, იმავდროულად, აპროტესტებდნენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით. აქციის მიმდინარეობისას პოლიციამ 8 პირი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით დააკავა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმეები სხვადასხვა დროს განიხილა, 4 პირის მიმართ შეწყვიტა საქმისწარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობის გამო, 1 პირის მიმართ გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო 3 მათგანი დააჯარიმა.



საწარმოო ტრავმის შედეგად დაზარალებულმა პირმა დავა მოიგო

საია იცავდა 1990 წლის იანვარში საწარმოო ტრავმის შედეგად დაზარალებულ პირს, რომელსაც, სამუშაო ადგილას მიღებული დაზიანების შედეგად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა დაუდგინდა. 1990 წლიდან მას ყოველთვიურად სარჩოს სახით ერიცხებოდა 44 ლარი და 88 თეთრი. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ამ საწარმოში დასაქმებულებს ხელფასები ემატებოდათ, მისი სარჩოს ოდენობა არ შეცვლილა. საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, მან 2019 წელს სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ამ თანხის გაზრდა, ასევე, მოპასუხისთვის სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს დაკისრება.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაეკისრა დაზარალებულისთვის სარჩოს სახით ყოველთვიურად 500 ლარის, ასევე, სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სხვაობის - 16387 ლარის გადახდა.

საჯარო მოხელემ სასამართლო დავა მოიგო

რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირების მოტივით სამსახურიდან გათავისუფლებულმა პირმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დავა მოუგო. მის ინტერესებს საია იცავდა. სამივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურიდან გათავისუფლება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გათავისუფლებული თანამშრომლის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და 2018 წლის 30 იანვრიდან სამსახურში აღდგენის დღემდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სამსახურიდან გათავისუფლებული პირი ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ის მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხა (ფაქტობრივად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, შტატების შემცირების გამო). მისი თქმით, უკანონოდ გაათავისუფლეს, ვინაიდან პოზიცია, რომელსაც ადმინისტრაციულ ორგანოში იკავებდა, არ გაუქმებულა, იმავე ფუნქციური დანიშნულებით არსებობდა და სწორედ ამ პოზიციის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა.

სამივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუსაბუთებლად და მობილობის პროცედურის არსებითი დარღვევით გამოსცა ბრძანება მოხელეთა რეზერვში დასაქმებულის ჩარიცხვის შესახებ.

საერთო სასამართლოებში ამ საქმის განხილვა 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საიამ „რუსთავი 2-ის“ წილებთან დაკავშირებით მიმდინარე საქმეზე სასამართლოს მეგობრის (AMICUS CURIAE) მოსაზრება წარადგინა

მას შემდეგ, რაც შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის“ წილები ქიბარ ხალვაშს დაუბრუნდა, წინა მესაკუთრეებმა, ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა სასამართლოს წარსულში მათი კუთვნილი წილების დაბრუნების მოთხოვნით მიმართეს. მოსარჩელეები ითხოვდნენ 2004 წელს იძულებით დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, საჯარო რეესტრში შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის“ პარტნიორ ქიბარ ხალვაშის 60%-იანი წილის რეგისტრაციის გაუქმებას და 30%-30%-იანი წილების მესაკუთრეებად მათ აღიარებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ქიბარ ხალვაში იყო შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავის 2-ის“ წილების კეთილსინდისიერი შემძენი და მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა წინა ხელისუფლების დროს განხორციელებული იძულების თაობაზე.

მოცემული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც საიამ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარუდგინა. დოკუმენტი მიმოიხილავს იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს წილის მესაკუთრის კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი, ასევე განხილულია ხარვეზები, რომლებიც, საიას აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოიკვეთა.

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლოში საია ამჟამად აწარმოებს 40 საქმეს. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ შეიტანა 9 ახალი სარჩელი. წარმატებით დასრულდა 1 საქმე, რომელზეც სასამართლომ ნორმის მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. ამავე პერიოდში საიამ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა ერთ საქმეზე.

ახალი სარჩელები

- **მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** დავის საგანია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც გამოცდების გარეშე ნოტარიუსის თანამდებობაზე დაბრუნების შესაძლებლობას აძლევს იმ ნოტარიუსებს, რომლებმაც ეს თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე 2008 წლის 1-ლი აპრილიდან 2010 წლის 1-ელ აპრილამდე პერიოდში დატოვეს. პირმა, რომელმაც ნოტარიუსის თანამდებობა დატოვა 2010 წლის 1-ლი აპრილის შემდეგ, ამ თანამდებობაზე დასაბრუნებლად უნდა ჩააბაროს პროფესიული და ზოგადი უნარების გამოცდები. ეს წესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას.

- **ვასილ ჟიჟაშვილი და გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** ამ საქმეში გასაჩივრებული ნორმები შინაგან საქმეთა სამინისტროს აძლევს შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ჩამდენი პირის შესახებ პერსონალური ინფორმაცია შეინახოს 20 ან 28 წლის ვადით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო მსს-ს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ პერსონალური მონაცემების უვადოდ შენახვა მაშინ, როცა ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ პირი აღარ მიიჩნევა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი ადმინისტრაციული სახდელი 3 წლის ვადით ავტომანქანის მართვის უფლების შეჩერებაა. აქედან გამომდინარე, საია მიიჩნევს, რომ 20 ან 28 წლის ვადით შინაგან საქმეთა სამინისტროში სამართალდამრღვევის პერსონალური მონაცემების შენახვა არღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ორგანიზაცია ითხოვს გამწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

- **ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** დავის საგანია ნორმები, რომლებითაც 2022 წლის 1-ელ მარტს ლონდა თოლორაიას ვადაზე ადრე შეუწყდა სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილება, გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ხოლო მის ნაცვლად შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურები. ვინაიდან დამოუკიდებელი თანამდებობის პირს აქვს დადგენილი ვადით პოსტზე ყოფნის კანონიერი მოლოდინი, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებას თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლებისგან დაცვის თაობაზე.

- **მ. ქ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი არ ითვალისწინებს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შესახებ მიღებული განჩინების (ბრძანების) გადასინჯვას. ამ ნორმით შესაძლებელია მხოლოდ შემაჯამებელი გადაწყვეტილების - განაჩენის გასაჩივრება. მოსარჩელეს სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს სახით შეტანილი ჰქონდა თავისი და ნათესავების უძრავი ქო-

ნება. გირაოს პირობების დარღვევის გამო, მას შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და შეეფარდა პატიმრობა, ხოლო უძრავი ქონება მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში. მოგვიანებით, მოსარჩელე სრულად გამართლდა სისხლის სამართლის ამ საქმეში, თუმცა მას არ შეუძლია, უძრავი ქონების დაბრუნებაზე იდავოს, რითაც ირღვევა კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება.

- **გიორგი გოროშიძე და ინდიკო აბაშიძე საქართველოს პარლამენტის, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს» და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ.** გასაჩივრებული ნორმები ადგენს საპენსიო ასაკს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 65 წელს მიღწეული აკადემიური პერსონალისთვის. საიას პოზიციით, ეს არის ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია და არღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/2/863 გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ინტელექტუალურ სამუშაოზე ამგვარი ასაკობრივი ზღვრის დაწესება დაუშვებელია.

- **დავით ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** დავის საგანია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმხილველი მოსამართლე არ სწავლობს დაკავების კანონიერებას. თუკი პირი 48 საათით დააკავეს პოლიციის წერილობითი დასაბუთების გარეშე, საქმის განმხილველი მოსამართლე დაკავებიდან 72 საათში არ არკვევს, რა მტკიცებულების მოსაპოვებლად იყო აუცილებელი 48 საათით მისი დაკავება. ამით ირღვევა კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გარანტიები დაკავების კანონიერების სწრაფად გადაწყვეტის შესახებ.

- **საია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** ამ საქმეში დავის საგანია საერთო სასამართლოების უფლებამოსილება, დროებით აკრძალონ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციისა და მისი შეცდომით შევსების თაობაზე საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მიღებული განკარგულების გამოქვეყნება, ასევე, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, სამუდამოდ დახურონ ამგვარი ინფორმაცია. ამით ირღვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

- **ეკატერინე კიკნაძე საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის წინააღმდეგ.** კულტურის მინისტრის ბრძანება ეროვნული მუზეუმის დირექტორატს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, მკვლევარს აუკრძალოს სამუზეუმო ფონდთან დაშვება. გასაჩივრებული ნორმატიული აქტი არ შეიცავს კრიტერიუმებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა ამ უფლებამოსილების გამოყენება. ამით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

- **ირაკლი კიკილაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.** გასაჩივრებული ნორმის მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი), არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად გაწერილ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საიას პოზიციით, სასამართლო უკანონო ადმინისტრაციული დაკავებისთვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, დაკავების ვადასთან ერთად, მხედველობაში უნდა იღებდეს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადამიანის უკანონო დაკავებისას კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის სიმძიმე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ საკუთარი ვალდებულების დარღვევის სიმძიმე და ბრალეულობის ხარისხი, მორალური და ფსიქოლოგიური ზიანის სიმძიმე და სხვა. ამის გათვალისწინებით, საიას მიაჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე წინადადებას და მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს - თავისუფლებისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების უფლებებს.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა წერილობითი მოსაზრება საქართველოს მთავრობის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტისგან ითხოვს მის მიერ დასახელებული პირების დანიშვნას ელჩის თანამდებობაზე. საია არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება - მთავრობის წარდგინებით დანიშნოს და გაათავისუფლოს ელჩები - ცერემონიულია. ორგანიზაციის აზრით, პრეზიდენტის ეს ფუნქცია, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილებისგან განსხვავებით, ცერემონიული არ არის.

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ გულისხმობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს მთავრობის მოთხოვნა ელჩის თანამდებობაზე კონკრეტული პირის დანიშვნისა ან გათავისუფლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის თაობაზე პირდაპირ იქნებოდა მითითება შესაბამის დებულებებში. ამის საპირისპიროდ, საქართველოს უზენაესი კანონი მიჰყვება პრინციპს, რომ საპარლამენტო მმართველობის პირობებშიც, აუცილებელია, არსებობდეს ძალაუფლების დამაბალანსებელი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო-აღმასრულებელი შტოების ტანდემის გადამეტებული ძალაუფლების შეკავებას. საქართველოს კონსტიტუცია სწორედ ამ მიზნით ტოვებს სივრცეს პრეზიდენტის დისკრეციისთვის.

გარდა ამისა, მოსარჩელის პოზიციის საპირისპიროდ, მთავრობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება ასევე გულისხმობს, რომ მან ელჩების დანიშვნის პროცედურა წარმართოს კონსტიტუციის შესაბამისად - შეათანხმოს კანდიდატურები პრეზიდენტთან და მიიღოს მისგან თანხმობა.

წარმატებული საქმე

მაცაცო ტეფნაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

მართალია, ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 20 მაისის განჩინებით სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად, თუმცა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას პროცედურული დაცვის გარანტიასთან დაკავშირებით.

საია სარჩელით ითხოვდა საჯარო სამსახურის შესახებ მთავრობის დადგენილების იმ ცალკეული დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც საჯარო მოხელის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას განსაზღვრავს. სადავო ნორმები საჯარო დაწესებულებებს არ ავალდებულებს საპრეტენზიო კომისიის იმგვარად დაკომპლექტებას, რომ მისი ერთი წევრი მაინც იყოს იმავე სფეროს ექსპერტი, რომელშიც შესაფასებელი მოხელე საქმიანობს. მაგალითად, მოსარჩელე იყო ეკონომისტი, ხოლო საპრეტენზიო კომისიის სამი წევრიდან არცერთ მათგანს არ ჰქონდა ანალოგიური პროფესია. საია მიიჩნევდა, რომ ასეთი წესი ვერ აკმაყოფილებდა საქმის სამართლიანად განხილვის პრინციპს და იძლეოდა სამსახურიდან მოხელის დაუსაბუთებლად გათავისუფლების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად, განმარტა, რომ: „[...] საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გულისხმობს სამართლიანი პროცედურების დაცვით საკითხის გადაწყვეტას, მათ

შორის, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც და რომლის შედეგადაც მიიღება ეს გადაწყვეტილება. ხსენებული არსებითად გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან წინასწარი განწყობის გარეშე. იმავდროულად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, საკითხი შეფასდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რათა საქმეზე მიღებული იყოს სწორი გადაწყვეტილება. თუმცა, აღნიშნული მიღწევადია საქმეში შესაბამისი სპეციალისტის/ექსპერტის მოწვევის გზით, რის საფუძველზეც, შემდგომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილება“.

ამ განმარტების თანახმად, თითოეული ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო მოხელის შეფასების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს შესაფასებელი პირის საქმიანობის სფეროს მცოდნე ექსპერტის/სპეციალისტის დახმარებით. სხვა შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება იქნება კონსტიტუციის საწინააღმდეგო.

სტრასბურგი სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში

საერთაშორისო მექანიზმებში საია აწარმოებს 116 საქმეს როგორც სამართალწარმოების, ისე აღსრულების ეტაპებზე.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2 ახალი საქმე *(ჯანდიერი* და ფერაძე საქართველოს წინააღმდეგ; მთავრიშვილი საქართველოს წინააღმდეგ) წარადგინა, ხოლო 4 საქმე მოიგო *(*ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ, ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ, კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ). პარალელურად, საია აგრძელებს ევროპულ სასამართლოსთან აქტიურ კომუნიკაციას წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით.

3 საქმეზე ორგანიზაციამ წარადგინა მომჩივნის დამატებითი სამართლებრივი არგუმენტაცია. აქედან ორი საქმე შეეხებოდა 2019 წლის 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების საჩივრებს *(ქურდოვანიძე* და სხვები საქართველოს წინააღმდეგ; ბაღაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ), ხოლო 1 საქმე - სოფელ დვანში რუსეთის მიერ მცოცავი ოკუპაციის რეჟიმის შედეგად დაზარალებულ 19 მოსახლეს *(მეკარიშვილი* და სხვები რუსეთის წინააღმდეგ). დამატებით, 1 საქმეზე, რომელიც 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებული პირების მიერ წარდგენილ 12 საჩივარს შეეხება და 84 პირის ინტერესს მოიცავს, გაიგზავნა მომჩივანთა პასუხი მეგობრული მორიგების შესაძლებლობასთან დაკავშირებით *(ჯიოშვილი* და სხვები რუსეთის წინააღმდეგ).

ახალი საქმეები

1. ჯანდიერი და ფერაძე საქართველოს წინააღმდეგ

2022 წლის 28 ივნისს საიამ 2021 წელს იურისტებისა და სამოქალაქო აქტივისტების შესაძლო უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეზე ევროპულ სასამართლოში საჩივარი იურისტ დავით ჯანდიერისა და სამოქალაქო აქტივისტ ნატალია ფერაძის სახელით წარადგინა. ამ საქმეში გასაჩივრებულია საქართველოში ფარული მოსმენა-მიყურადების კანონმდებლობის შეუსაბამობა კონვენციურ სტანდარტთან. გარდა ამისა, 2021 წლის 1-ლი აგვისტოსა და 13 სექტემბრის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება ამ კანონმდებლობისა და პრაქტიკის კიდევ ერთი უარყოფითი მაგალითია, რომელიც ასევე საჩივრის ერთ-ერთი სადავო საკითხია. საჩივარში დასმული პრობლემები აისახა ევროპარლამენტის 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციაშიც, რომელიც, სხვა მოთხოვნათა შორის, შეიცავს მოწოდებას საქართველოს ხელისუფლებისადმი, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება მოსმენების საქმესთან დაკავშირებით და დანერგოს სათანადო საკანონმდებლო მექანიზმები სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ თვალთვალისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მოცემულ საქმეში დავის საგანია ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უფლება) მუხლების დარღვევა. საჩივრებით ასევე მოთხოვნილია, რომ საქმეს მიენიჭოს ე.წ. ზეგავლენის მქონე საქმის სტატუსი (‘IMPACT CASE’), ხოლო სასამართლომ დაავალდებულოს სახელმწიფო, სრულად და ჯეროვნად წარუდგინოს საგამოძიებო მასალები.

საქმის წარმატებით დასრულება მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს ქართულ კანონმდებლობაში და შექმნის ძლიერ გარანტიებს ფარული მოსმენა-მიყურადებისგან დასაცავად. ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განმტკიცებას და შეასუსტებს პოლიციურ რეჟიმს, რომელიც, უკვე წლებია, სწორედ ფარული მოსმენების საშუალებით ყოველდღიურად არღვევს მრავალი ადამიანის უფლებას. ამჟამად საჩივარს მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მისი გადასვლა ე.წ. კომუნიკაციის ეტაპზე.

საია ამ საქმეს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით აწარმოებს. საგულისხმოა, რომ საქმე კოალიციურად გაიგზავნა, თუმცა, ვინაიდან საიას საჩივარი სასამართლოს პირველი წარედგინა, ე.წ. წამყვანი საქმის სტატუსი მას მიენიჭება.

2. მთავრიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

საჩივარი შეეხება 2019 წლის 15 აპრილს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მცხოვრები ზვიად მთავრიშვილის მიმართ პოლიციელების მხრიდან სავარაუდო ძალადობას და ამის შედეგად გარდაცვალებას, შესაბამისად, კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებით დაცული უფლებების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ ზვიად მთავრიშვილის დას 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, რომელიც მან მხოლოდ 2021 წლის ზაფხულში, საიას სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე მოიპოვა. მიუხედავად არაერთი მიმართვისა და საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო პროცესის ნაკლოვანებების შესახებ გენერალური პროკურატურის ინფორმირებისა, დაზარალებულის უფლებამონაცვლის წერილები, განცხადებები თუ შუამდგომლობები უმეტესად უპასუხოდ რჩება. ზოგ შემთხვევაში კი, პასუხი შაბლონურია და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას. გარდა ამისა, საგამოძიებო ორგანომ დღემდე ვერ უზრუნველყო შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება. საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები კი ბევრ ხარვეზს შეიცავს.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში დასაბუთებულია, რომ სახელმწიფომ არა მხოლოდ დაარღვია საქმეზე ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების წარმოების ვალდებულება, არამედ ზვიად მთავრიშვილის გარდაცვალება, სავარაუდოდ, სწორედ სახელმწიფო მოხელეთა (პოლიციის თანამშრომელთა) ქმედებების პირდაპირი შედეგია. საქმის არსებითი განხილვა 2022 წლის სექტემბერში დაიწყო.

მოგებული საქმეები

1. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

2021 წლის 16 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ააიპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“, ააიპ „იდენტობისა” და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) ერთობლივ საქმეზე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა დაადგინა. საქმე შეეხებოდა 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (აიდაჰო) განვითარებულ მოვლენებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო ეფექტიანი ზომები კონტრდემონსტრანტებისგან ლგბტ ადამიანების დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ჯეროვნად იყო ინფორმირებული ამგვარი რისკის თაობაზე. გარდა ამისა, მტკიცებულება - დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ვიდეომასალა - ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალურ წაქეზებას, შეთანხმებას ძალადობის აქტებთან დაკავშირებით. სასამართლოს აზრით, ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბზე გავლენა მოახდინა ასევე ხელისუფლების უმოქმედობამ, კერძოდ, მან ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ თემზე წარსულში მომხდარ თავდასხმებზე. ამასთან დაკავშირებით, მიუთითა საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელზეც სასამართლომ დარღვევა 2015 წელს დაადგინა. სახელმწიფოს, მომჩივანთა სასარგებლოდ, 193,500 ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

2. ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ

2022 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №59333/16) ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა. საია ევროპულ სასამართლოში აწარმოებდა მამუკა მიქაუტაძის საქმეს, რომელმაც შსს-ში გამოკითხვიდან მეორე დღეს თბილისის ზღვაზე თავი მოიკლა. ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიების ფარგლებში მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს მოწმის სახით, მისი მეგობრის მიერ კანაფის სავარაუდო ფლობის ფაქტზე გამოიკითხა. 2013 წლის 6 ივლისს მან თავი მოიკლა, თვითმკვლელობამდე კი აცხადებდა, რომ დაკითხვის დროს მის მიმართ პოლიციელებმა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად იძალადეს საკუთარი მეგობრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების მიზნით.

სასამართლომ გამოძიება კომპლექსურად შეაფასა და ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ 2016 წელს პროკურატურამ საქმე დანაშაულის არარსებობის გამო დახურა, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული გადამწყვეტი კითხვები უპასუხოდ დატოვა. სასამართლოს აზრით, ყველაზე ნიშანდობლივი საგამოძიებო ხარვეზი იყო ის, რომ გამოძიებამ არანაირი ჰიპოთეზა/განმარტება არ გააკეთა, რატომ შეიძლებოდა პოლიციასთან კონტაქტის შემდეგ თავი მოეკლა ადამიანს, რომელსაც არანაირი სუიციდური განწრახვები, ფსიქოლოგიური ან სხვა ტიპის პრობლემები არ ჰქონდა. ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ მიქაუტაძის საქმეზე გამოძიება არ წარიმართა საფუძვლიანად, რამაც ძირი გამოუთხარა მის ეფექტიანობას. ამასთანავე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ გამოძიება დაიწყო 2013 წლის 6 ივლისს და დაიხურა 2016 წლის 25 მარტს, თუმცა 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა, ხოლო მთავრობამ არ წარმოადგინა განმარტება ამგვარ საგამოძიებო უმოქმედობასთან დაკავშირებით.

3. ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ

2022 წლის 10 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პოლიციელის მიერ ჩადენილი ფემიციდის საქმეზე დარღვევა დაადგინა. 19 წლის ქალი 2014 წლის 25 ივლისს ზესტაფონში მოკლა ყოფილმა ქმარმა, ზესტაფონის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომელმა, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით. მკვლელობამდე დაზარალებულმა არაერთხელ მიმართა ზესტაფონის პოლიციას, პროკურატურას, შსს-ს გენერალურ ინსპექციას და მოძალადისგან დაცვა ითხოვა. მიუხედავად ამისა, არ გატარდა კანონით გათვალისწინებული ზომები მოძალადის შესაჩერებლად. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე სიცოცხლის (ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი) და დისკრიმინაციისგან დაცვის (ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი) უფლებების დარღვევა დაადგინა.

ამ საქმეს საია ორგანიზაციებთან - „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი“ (EHRAC) და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) - თანამშრომლობით აწარმოებდა.

4. კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე გადაწყვეტილება 2022 წლის 28 აპრილს გამოიტანა. 2014 წლის ზაფხულში კუთვნილი ავტომობილით მოძრაობისას მომჩივანი საპატრულო პოლიციის ორმა თანამშრომელმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გააჩერა. მას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 119-ე (5) მუხლის საფუძველზე, ასლარიანი ჯარიმა გამოუწერეს. მომჩივნის განმარტებით, მან პატრულ-ინსპექტორებს მიმართა, რომ ოქმს გაასაჩივრებდა და თავში ხელის წამორტყმასაც „არ აპატიებდა“. ამ სიტყვებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გააღიზიანა. შედეგად, ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, ასკ-ის 173-ე მუხლის საფუძველზე, ადგილზე დააკავეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება არ იყო სრულყოფილი. გამოძიების ინტერესების მიღმა დარჩა მომჩივნისთვის მიყენებული ისეთი მძიმე დაზიანება, როგორიცაა ნეკნების მოტეხილობა, რაც საქმის მასალებში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა და რისთვისაც არცერთ პოლიციელს ბრალდება არ წარსდგენია. ბრალი წაუყენეს მხოლოდ ერთ პატრულ-ინსპექტორს, ისიც მხოლოდ თავის არეში ხელის დარტყმის გამო. დამატებით, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება არასათანადო მოპყრობის საქმეებზე საგამოძიებო პროცესის ფარგლებში დროული სამედიცინო გამოკვლევის/ექსპერტიზის საჭიროებაზე.

საია ამ საქმეს პარტნიორ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC)" თანამშრომლობით აწარმოებდა.

საერთაშორისო ადვოკაცირება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულება

საანგარიშო პერიოდში საიამ ექვსი მე-9 წესის კომუნიკაცია გაგზავნა. აქედან ოთხი მათგანი შეეხებოდა ცინცაბაძის, იდენტობის (2 კომუნიკაცია) და თხელიძის ჯგუფების საქმეების აღსრულების მდგომარეობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, ხოლო ორი - ახალი საქმეების (ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ) კლასიფიკაციას. გარდა ამისა, ორი ალტერნატიული ანგარიში იდენტობისა და ცინცაბაძის ჯგუფების საქმეებზე წარედგინა საქართველოს პარლამენტს, როგორც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულებაზე ზედამხედველ ეროვნულ ორგანოს.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საიამ ორჯერ, 2021 წლის ნოემბერსა და 2022 წლის მარტში, მონაწილეობა მიიღო ევროპის მინისტრთა კომიტეტის წინაშე წარმოებულ ზეპირ განხილვაში და შეხვდა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტის იურისტებს. ამ ფორმატის გამოყენება დადებითად აისახა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და მინისტრთა კომიტეტმა ასოციაციის არაერთი რეკომენდაცია გაითვალისწინა. საია ამ შეხვედრებს დაესწრო პარტნიორი ორგანიზაციის - ევროპული იმპლემენტაციის ქსელის (European Implementation Network) ორგანიზებით. ამასთანავე, მონაწილეობა მიიღო EIN-ის ორ გენერალურ ასამბლეაში.

ადვოკატირება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობის მიზნით

საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა მიმართა წინასასამართლო პალატას სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის სამი ყოფილი მაღალჩინოსნის მიმართ დაკავების განჩინებების გამოცემის მოთხოვნით, ომის შესაძლო დანაშაულების ჩადენის ბრალდებით. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა. საია, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს კოალიციის თავმჯ-

დომარე ორგანიზაცია, ადვოკატირებს, რომ დაკავების ორდერი ასევე გამოიცეს სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის მიმართ, ამასთანავე, პროკურორის ოფისმა განაგრძოს გამოძიება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით რუსეთის სახელით მოქმედი პირების პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად. საიამ ამ საკითხზე გამოაქვეყნა 4 განცხადება, ასევე მონაწილეობდა პროკურორის ოფისთან გამართულ 5 შეხვედრაში როგორც ონლაინ, ისე პირდაპირი კომუნიკაციის ფორმით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე ადვოკატირების თვალსაზრისით, საია ასევე ჩართულია უკრაინის სიტუაციის გამოძიებასთან დაკავშირებულ პროცესებში. 14 ივლისს ჰააგაში ნიდერლანდების მთავრობამ, ICC-ის პროკურორის ოფისთან და ევროკომისიასთან ერთად, უმასპინძლა კონფერენციას უკრაინის ომის თემაზე (Ukrainian Accountability Conference), რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საია მონაწილეობდა კონფერენციამდე გამართულ სამუშაო შეხვედრაში, სადაც წარადგინა ინფორმაცია საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ.

2022 წლის სექტემბერში სისხლის სამართლის საერთაშორისო კოალიცია მონაწილეობდა ICC-ის პროკურორის ოფისთან გამართულ შეხვედრაში, რომელიც თბილისში ჩატარდა.

გარდა ამისა, საია აქტიურად არის ჩართული სისხლის სამართლის საერთაშორისო კოალიციის (CICC) საქმიანობაში და რეგულარულად მონაწილეობს მის შეხვედრებში.

გამოცემები

საარჩევნო დავების განხილვის ძირითადი ტენდენციები (2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები)

საია 2021 წელს საქართველოში მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებს დააკვირდა. როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს და მის შემდგომ ორგანიზაციამ აწარმოვა საარჩევნო დავები, რომელთა ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტა საარჩევნო პროცესის ეფექტიანობის შესაფასებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზებულია საარჩევნო დავები, მიმოხილულია არსებული საარჩევნო მექანიზმების ეფექტიანობა და წარმოდგენილია რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ორგანიზაცია ცდილობს, ამ საკითხზე ძირითადი ტენდენციების გამოკვეთით, ხელი შეუწყოს საარჩევნო მექანიზმების დახვეწას, რაც, საბოლოოდ, გაზრდის მოქალაქეების ნდობას საარჩევნო პროცესების მიმართ.

აქტუალური სამართლებრივი საკითხები საქართველოში მყოფი უკრაინელებისთვის

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში შეიარაღებული თავდასხმის დაწყების შემდეგ უკრაინის მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ და სხვა ქვეყანაში უსაფრთხო თავშესაფარი მოეძებნათ. დღესდღეობით საქართველოში უკრაინის არაერთი მოქალაქე იმყოფება. არის ბევრი დეტალი, რომლებიც მათთვის აქტუალურია. გარკვეულ თემებზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მათ უკვე მიმართეს კონსულტაციისთვის. შესაბამისად, მომზადდა სამართლებრივი განმარტებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ხანდაზმულთა მდგომარეობა უფლებრივი საქართველოში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრამდე, „ღია საზოგადოების ფონდის“ დაფინანსებით, ახორციელებდა პროექტს „ხანდაზმულთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც 60 წლის ზემოთ ასაკის 1200-ზე მეტ პირს გაეწია სამართლებრივი დახმარება. შედეგად, ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა და აქტუალური საკითხი გამოიკვეთა. წარმოდგენილ ანგარიშში განხილულია ხანდაზმულთა უფლებების დაცვის როგორც საერთაშორისო, ისე შიდასამართლებრივი მექანიზმები. გაანალიზებულია პროექტის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემები, ხოლო, ძირითადი ტენდენციების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები.

აქტივისტების უფლებები შეკრება-მანიფესტაციისას



საიამ მოამზადა საინფორმაციო ბროშურა „აქტივისტების უფლებები შეკრება-მანიფესტაციისას». საქართველოში შეკრება-მანიფესტაციების დროს ხშირია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აქტივისტთა უფლებების დარღვევისა და უსაფუძვლოდ შეზღუდვის შემთხვევები. ბროშურის მიზანია, აქციების მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ შეკრება-მანიფესტაციების, სამართალდამცავებთან ურთიერთობის ან დაკავების დროს.

მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მრავალი წელია, მხარს უჭერს და მოითხოვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმას. რეფორმის ხელშესაწყობად საიამ ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც სხვადასხვა აქტივობას ითვალისწინებს. საკითხის ადვოკატირების მიზნით მომზადდა დოკუმენტი, რომელიც მოკლედ მიმოიხილავს კანონმდებლობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

4

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიიღო, ჯამში, 1,504,772.21 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 102 თანამშრომელი, მათ შორის 40 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,191,478.21 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 261 პირზე - სულ 238,102.18 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 456,065.75 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 12,048.78 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შეძენილია 7,291.95 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 21,942.55 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 94,887.12 ლარი, ოფისების ქირამ - 81,054.14 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 28,632.20 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 156,414.91 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,840,211.18 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საიას მმართველობის ორგანოები

2022 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ნიკოლოზ სიმონიშვილი - თავმჯდომარე
თაია არაბული
ზვიად არძენაძე
რევაზ აჭარაძე
ნინო ბაღაშვილი
ლაშა ბექიშვილი
ირენა გაბუნია
თამარ გვარამაძე
მარიამ გოგოსაშვილი
გიორგი გოცირიძე
დიმიტრი გუგუნავა
რატი თინიკაშვილი
ნათია კაპანაძე
თეონა მაჭარაშვილი
გვანცა საკანელაშვილი
სულხან სალაძე
გიორგი ტაბატაძე
ნონა ქურდოვანიძე
თამარ ღვალაძე
მერი ჩაჩავა
მიხეილ ჯახუა

სარევიზიო კომისია

თამარ სარაჯიშვილი
მალხაზ ვეფხვაძე
ნინო ბიბილური
ნინო სამადაშვილი
ანა კოტეტიშვილი

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - პაატა დიასამიძე
ქუთაისის ფილიალი - ზაალ გორგიძე
რუსთავის ოფისი - ნათია ქოქიაშვილი
გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი - მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი - კესარია ჩახაია

დირექტორთა საბჭო

ნიკოლოზ სიმონიშვილი - თავმჯდომარე
ნანუკა ყრუაშვილი - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი
ნონა ქურდოვანიძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი
ნინო ჩიხლაძე - ადმინისტრაციული პროგრამის დირექტორი

დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

SIGRID RAUSING TRUST

Ministry of Foreign Affairs of the Netherlands

ღია საზოგადოების ფონდი

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

UK Government

British Embassy Tbilisi

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia